დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ა(ა)იპ კოლეჯი "პრესტიჟი" – „ადმინისტრაციული სერვისები“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნინო ქიტიაშვილი
წევრები:
სახელი, გვარი: მარიკა ქიქავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი / ა(ა)იპ

საიდენტიფიკაციო კოდი: 231287005

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 04 ივნისის N668504 ბრძანების საფუძველზე 2026 წლის 30 ივნისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ა(ა)იპ კოლეჯში „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა როგორც კოლეჯის შიდა ინფრასტრუქტურა, ისე პარტნიორი ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჩაატარა ინტერვიუები კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პრაქტიკის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ინტერვიუების დროს დეტალურად იქნა განხილული პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო პროცესის ორგანიზების ფორმატი და შეფასების სისტემა.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი პროგრამა, ადამიანური თუ მატერიალური რესურსების თვალსაზრისით, სრულად პასუხობს ავტორიზაციის ყველა სტანდარტსა და კრიტერიუმს.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გამოვლენილა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ გამოვლენილა

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

კოლეჯი ეთანხმება დასკვნაში ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და შეფასებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ადმინისტრაციული სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ადმინისტრაციულ სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	პროგრამა დამტკიცებულია 2026 წლის 21 მაისის N01-4/69 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თელავი, ქართული უნივესიტეტის ქ. N1
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

კოლეჯის გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ განხორციელების შესახებ ეფუძნება ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების წესი“, რომლის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ადმინისტრაციული სერვისები“ შემუშავების დროს, გათვალისწინებული იყო მისი განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება.
პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას კოლეჯმა ასევე გაითვალისწინა:

- მოთხოვნა სწავლის მსურველთა, და დამსაქმებელთა მხრიდან;
- მენეჯმენტის და ადმინისტრირების დარგის ხელშეწყობა;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევები.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და მტკიცებულებების ანალიზი ცხადყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება ჯეროვან დასაბუთებას, პასუხობს თანამედროვე ეკონომიკურ მოთხოვნებს და სრულ თანხვედრაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტებთან.

ამდენად, ინდიკატორის 2.1.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

„ადმინისტრაციული სერვისების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება. მიღების პროცედურები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯში დადგენილი რეგულაციების შესაბამისად. დაშვების წინაპირობები და შერჩევის ობიექტური პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ აპლიკანტთა მიღებას, რომელთა წინარე ცოდნა და უნარები იძლევა პროგრამის განხორციელების ვადაში სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევის შესაძლებლობას.

ამდენად, ინდიკატორის 2.1.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ა(ა)იპ კოლეჯ „პრესტიჟს“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ადმინისტრაციული სერვისები“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულებამ იხელმძღვანელა აღნიშნული მეთოდოლოგიით და გაითვალისწინა პროგრამის განხორციელების სპეციფიკა, სასწავლო გარემოს ფართი (უმცირესი გამტარიანობის პრინციპით), სამუშაო ადგილების რაოდენობა, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი (რენტაბელობა) და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რესურსი. ასევე, სტუდენტების კონტიგენტის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობები.

ამდენად, ინდიკატორის 2.1.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

კოლეჯ „პრესტიჟს“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ადმინისტრაციული სერვისები“ მობილიზებული აქვს შესაბამისი საგანმანათლებლო და მეთოდური რესურსი. ბიბლიოთეკის ფონდში ხელმისაწვდომია მოდულებით გათვალისწინებული ძირითადი დარგობრივი ლიტერატურა და დამხმარე სასწავლო მასალები, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ფორმატით, რომლებიც შინაარსობრივად პასუხობს მოდულების მოთხოვნებს. საგანმანათლებლო და დამხმარე რესურსები სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლების კომპონენტში.

ამდენად, ინდიკატორის 2.1.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“ არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ამდენად, ინდიკატორის 2.1.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ წესდების (რეგისტრირებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში 2024 წლის 23 სექტემბერის #B24119858/3 გადაწყვეტილების თანახმად), განსაზღვრულია პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი, კერძოდ, წესდების მე-4 მუხლის გ) ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ადმინისტრაციული სერვისები“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 21 მაისის 01-4/69 ბრძანებით.

ამდენად, ინდიკატორის 2.1.1.6 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ადმინისტრაციული სერვისები“ სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამა ეფუძნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს - ,,ადმინისტრაციული სერვისები“ (სარეგისტრაციო ნომერი 04.3.1).

ამდენად, ინდიკატორის 2.1.1.7 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ადმინისტრაციული სერვისები“ სრულ შესაბამისობაშია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან - ,,ადმინისტრაციული სერვისები“ (სარეგისტრაციო ნომერი 04.3.1).

- პროგრამა შემუშავებულია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების წესი“-ს შესაბამისად.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ,,ადმინისტრაციული სერვისები“ განსაზღვრულია პროგრამის მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია.
- პროგრამის პაკეტი მოიცავს: პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებს, სასწავლო გეგმას, ინფორმაციას პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ.
- მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულები - „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“. ასევე აღნიშნული მოდულების განხორციელების სასწავლო გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.

კოლეჯის უპირატესობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ „ადმინისტრაციული სერვისების“ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად იყო ჩართული სტანდარტის განახლების პროცესში. აღნიშნული გარემოება იძლევა გარანტიას, რომ პროგრამა განხორციელდება მაღალპროფესიულ დონეზე და ყოველგვარი შეფერხების გარეშე.

ამდენად, ინდიკატორის 2.1.1.8 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია და სტრატეგიული გეგმა
- დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“
- სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების წესი
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტი; ზღვრული რაოდენობა არის 30). თეორიული კომპონენტი ხორციელდება შესაბამისად აღჭურვილ A გარემოში, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის ნაწილი პრაქტიკის ობიექტებზე, რომლებთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს პრაქტიკის ხელშეკრულებები. პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და წარმომადგენელთან გასაუბრებით, დადგინდა რომ მათ აქვთ სრული მზაობა და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული სათანადო ინვენტარით სწავლების კომპონენტის განსახორციელებლად.

ამდენად, ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ადმინისტრაციული სერვისების“ განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. მხედველობაშია მიღებული ის, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო არ შემოიფარგლება მხოლოდ საკონტაქტო საათების ჩატარებით, ის ასრულებს სხვა მნიშვნელოვან აქტივობებსაც, როგორიცაა მომზადება მეცადინეობისათვის, საორგანიზაციო საკითხები, სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, პროგრამის ხელმძღვანელობა, მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში და სხვა. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ, განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც გაწერილია კანონმდებლობით დადგენილი არსებითი პირობები და პუნქტები.

ამდენად, ინდიკატორის 2.2.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, ,,ადმინისტრაციული სერვისების“, ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობისა და კოლეჯის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, მათ აქვთ შესაბამისი განათლება ან/და სწავლების, ან/და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება.

ამდენად, ინდიკატორის 2.2.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,ადმინისტრაციული სერვისები“ ჰყავს მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს დარგის მიმართულებით მუშაობის მრავალწლიანი, ასევე მოდულების განხორციელების გამოცდილება, რაც დასტურება მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელთან გასაუბრებით, სამუშაო აღწერილობისა და პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ხელმძღვანელი ეწევა პროგრამის ადმინისტრირების საკითხებს, ზრუნავს პროგრამის განვითარებასა და მასში დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებაზე.

ამდენად, ინდიკატორის 2.2.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

5პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ,,ადმინისტრაციული სერვისები" მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. საგანამათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და გატარებულია ბიბლიოთეკის საინვეტარო წიგნში. ელექტრონული სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც ხდება, დაინტერესებული პირის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). საგანამათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და გატარებულია ბიბლიოთეკის საინვეტარო წიგნში. ელექტრონული სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც ხდება, დაინტერესებული პირის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა).

ამდენად, ინდიკატორის 2.2.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ა(ა)იპ კოლეჯ „პრესტიჟში" არსებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციისა და სასწავლო გარემოს შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია სსსმ და შშმ პირთა სასწავლო პროცესში ინტეგრაციისა და მხარდაჭერის მექანიზმები. კოლეჯი მზად არის, საჭიროების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,ადმინისტრაციული სერვისები" შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ).

წინა ინდიკატორზე დაყრდნობით, ვინაიდან ბიბლიოთეკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები სრულ შესაბამისობაშია, სსსმ პირებისთვის უზრუნველყოფილია წვდომა როგორც მატერიალურ, ისე ციფრულ საგანმანათლებლო რესურსებთან. ციფრული სასწავლო მასალები და ელექტრონული პლატფორმები იძლევა დამხმარე პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების შესაძლებლობას, რაც სრულად პასუხობს სსსმ პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ამდენად, ინდიკატორის 2.2.1.6 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროფესიული საგანმანმანათლებლო პროგრამის ,,ადმინისტრაციული სერვისები" სრულფასოვანი განხორციელებისათვის კოლეჯი ადგენს პროგრამის ბიუჯეტს, აწარმოებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო და პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ - რეალურ კალკულაციას. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა სწავლის საფასური/ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსება.

ამდენად, ინდიკატორის 2.2.1.7 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ადმინისტრაციული სერვისები“
- პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის პირადი საქმეები
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ბიბლიოთეკის დებულება
- კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი (მატერიალური და ელექტრონული)
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- პროგრამის ბიუჯეტი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

კოლეჯ „პრესტიჟში“ „ადმინისტრაციული სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების, მონიტორინგისა და პერიოდული განახლების სისტემა რეაგირებს თანამედროვე შრომის ბაზრის დინამიკურ მოთხოვნებზე. დაწესებულებაში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის აქტუალობისა და ეფექტიანობის მუდმივ კონტროლს. ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ პროგრამის შემუშავებისა და შეფასების ეტაპზე კოლეჯი აქტიურად იყენებს მრავალმხრივი უკუკავშირის ინსტრუმენტებს: დაინტერესებული მხარეების ჩართულობა: რეგულარულად ტარდება გამოკითხვები და სამუშაო შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან და დამსაქმებლებთან. მიღებული შედეგები ანალიზდება და პირდაპირ აისახება სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. შრომის ბაზრის კვლევა: პროგრამის სტრუქტურა და შედეგები მისადაგებულია ადგილობრივი და რეგიონული ბაზრის საჭიროებებს, რაც ზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების პოტენციალს. ვინაიდან აღნიშნული პროგრამა კოოპერაციული ფორმატით ხორციელდება, შეფასების მექანიზმში განსაკუთრებული როლი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ენიჭება პარტნიორი ორგანიზაციის მენტორების უკუკავშირს, რაც საშუალებას იძლევა რეალურ დროში შეფასდეს სტუდენტის მიერ პრაქტიკული უნარების ათვისების დონე და, საჭიროების შემთხვევაში, დროულად დაკორექტირდეს მიდგომები.

ამდენად, ინდიკატორის 2.3.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლი პროგრამის შემუშავების, დამტკიცების მასში ცვლილების (მოდიფიცირების) და გაუქმების წესი“, ,,განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები” და „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“,რომლებიც ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განახორციელებას საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, გაწერილი პროცედურების შესაბამისად. კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს უკუკავშირით მიღებული მონაცემების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს კოლეჯის მიერ შემუშავებული რეგულაციების შესაბამისად.

ამდენად, ინდიკატორის 2.3.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და გამოკითხვის კითხვარები/ანალიზი
- პროფესიული საგანმანათლებლი პროგრამის შემუშავების, დამტკიცების მასში ცვლილების (მოდიფიცირების) და გაუქმების წესი
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების" სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო პროცესის განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმაში, რომელიც აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებებისთვის.

ამდენად, ინდიკატორის 2.4.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად. კოლეჯის სტუდენტთა უმრავლესობა კახეთის რეგიონის მაცხოვრებელია, რომელთაც ესაჭიროებათ ტრანსპორტი. ამის გათვალისწინებით, კოლეჯში სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ პროფესიულ სტუდენტებს არ შეექმნათ ტრანსპორტირების პრობლემა. კოლეჯი მოქნილად რეაგირებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შესაძლებლობა სხვადასხვა შემთხვევებისათვის (სსსმ/შშმ სტუდენტის სტატუსი, მობილობა, სტატუსის აღდგენა და სხვა).

ამდენად, ინდიკატორის 2.4.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ა(ა)იპ კოლეჯ „პრესტიჟის" მიერ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ადმინისტრაციული სერვისების" შემუშავებული მოდულები და სასწავლო გეგმა ორიენტირებულია სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდების (დემონსტრირება, პრაქტიკული სამუშაო, სიმულაცია) გამოყენებაზე.

პროფესიულ მასწავლებლებს გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრენინგი, მათ შორის „სწავლასწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება" კოლეჯი უზრუნველყოფს ტრენინგებს როგორც არსებული, ასევე ახლადშემოსული ადამიანური რესურსისთვის, ორგანიზებას უწევს მასწავლებლებს შორის სწავლება-შეფასების ნაწილში გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, დარგის ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობის მიზნით მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ინტერნეტ-რესურსებს. ვინაიდან პროგრამა კოოპერაციული ფორმატისაა, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, კოლეჯში მიღებული თეორიული ცოდნა და ტექნოლოგიური უნარები დაუყოვნებლივ გამოსცადონ და დახვეწონ პარტნიორი ორგანიზაციის რეალურ, ყოველდღიურ სამუშაო პროცესში, თანამედროვე საოფისე ეკოსისტემის გარემოში.

ამდენად, ინდიკატორის 2.4.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. რაც გამოიხატება მოქნილ სწავლების მეთოდებში, ინდივიდუალურ მხარდაჭერაში და პრაქტიკულ და ინკლუზიურ მიდგომაში. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, როგორც შშმ და სსსმ სტატუსის მქონე პირებთან მიმართებაში ასევე, იმ პირთა მიმართ, რომლებსაც სჭირდებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება (მობილობით გადმოსული, სტატუსშეჩერებული და სხვა).

ინტერვიუებით დასტურდება, რომ მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ დიფერენცირებული სწავლების პრინციპები და მზად არიან, საჭიროების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტები და სასწავლო პროცესი მოარგონ კონკრეტული სტუდენტის საჭიროებებს.

ამდენად, ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

კოლეჯ „პრესტიჟის“ თანამშრომლობა „ადმინისტრაციული სერვისების“ პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციასთან სამართლებრივად სრულად და რეგულირებულად არის გაფორმებული. დაწესებულებებს შორის არსებული პარტნიორობა ეფუძნება ოფიციალურ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას/მემორანდუმს, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობებსა და სასწავლო პროცესის წარმართვის პირობებს. ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტური მასალების შესწავლისა და პარტნიორ ორგანიზაციაში სტუმრობისას დადასტურდა შემდეგი გარემოებები: ხელშეკრულება დეტალურად არეგულირებს სტუდენტთა რეალურ სამუშაო გარემოში განთავსების, უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრაქტიკული საათების სრულფასოვნად ათვისების საკითხებს; პარტნიორი ორგანიზაციის მხრიდან გამოყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მენტორი, რომელიც კოლეჯის კოორდინატორთან ერთად უზრუნველყოფს სტუდენტთა პროგრესის თვალყურის დევნებასა და ობიექტურ შეფასებას.

ამდენად, ინდიკატორის 2.4.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით; კოლეჯში მოქმედებს ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ „საგანგებო მართვის გეგმა“, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. ამასთანავე, კოლეჯს შემუშავებულ აქვს პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში „შრომის უსაფრთხოების ნორმები“, რომლთა გაცნობაც და დაცვაც სავალდებულოა თითოეული სტუდენტისათვის და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის. გარდა ამისა, კოლეჯში შექმნილია საგანგებო შტაბი, საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით.

სასწავლო აუდიტორიებში გამოკრულია საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას პროფესიულ სტუდენტებს უტარდებათ უსფრთხოების ინსტრუქტაჟი სწავლის შედეგების შესაბამისად. კოლეჯში შიდა და გარე პერიმეტრზე, უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებულია ვიდეო სათვალთავალო კამერები. კოლეჯში აგრეთვე მოქმედებს „სამედიცინო დახმარებია აღმოჩენის მექანიზმები“.

ამდენად, ინდიკატორის 2.4.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების წესი
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- საგანგებო მართვის გეგმა
- პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხოების ნორმები

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასება ხორციელდება კანონდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. კოლეჯში შემუშავებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომლებშიც ასხულია შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, რაც უზრუნველყოფს კოლეჯში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდობას, გამჭვირვალეობას, სამართლიანობას და ობიექტურობას.

ამდენად, ინდიკატორის 2.4.2.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

კოლეჯში დანერგილია და ფუნქციონირებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შეფასების ხარისხის კონტროლს. ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით და მოიცავს სამ ეტაპს: შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია: ინსტრუმენტის გამოყენებამდე მისი შესაბამისობის შემოწმება მოდულის მოთხოვნებთან. პროცესის ვერიფიკაცია: უშუალოდ შეფასების მიმდინარეობაზე დაკვირვება და პროცედურული სიზუსტის კონტროლი. მტკიცებულებების ვერიფიკაცია: სტუდენტების მიერ შესრულებული სამუშაოების და მტკიცებულებების არანაკლებ 25%-ის შერჩევითი გადამოწმება სპეციალური კითხვარების მეშვეობით, შეფასების სისწორისა და ობიექტურობის დასადასტურებლად.

ვერიფიკაციის პროცესის შედეგად დგება ვერიფიკაციის ანგარიში. ვერიფიკაციის ფარგლებში მოგროვებული/მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აწვდის დაინტერესებულ მხარეს.

ამდენად, ინდიკატორის 2.4.2.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯი შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი"-ს შესაბამისად. კოლეჯში მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები მუდმივად.

ამდენად, ინდიკატორის 2.4.2.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

შეფასების შედეგები არ ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს და აქტიურად გამოიყენება ორმხრივი განვითარებისთვის:

სტუდენტის დონეზე: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების საფუძველზე, სტუდენტი იღებს დეტალურ, კონსტრუქციულ უკუკავშირს პროფესიული განათლების მასწავლებლისგან/ვერიფიკატორისგან. ეს ეხმარება მას საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებასა და აკადემიურ წინსვლაში.

პროგრამის დონეზე: კოლეჯი აანალიზებს შეფასებების სტატისტიკურ მონაცემებს (შედეგების დადასტურების დინამიკას), რაც წარმოადგენს საფუძველს სასწავლო პროცესის მოდიფიცირებისთვის, სწავლების მეთოდების დახვეწისა და საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის მდგრადი გაუმჯობესებისთვის.

ამდენად, ინდიკატორის 2.4.2.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი: 04.08.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: